# გუშინ მთელს საბჭოთა კავშირში მოეწყო შრომის დიდი დღესასწაული — კომუნისტური შაბათობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს სრულდება ვ. ი. ლენინის დაბადების 103 წლისთავი. კაცობრიობის ბელადი მარად ცოცხალია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1973 წ.
№ 79 (4849) 22 აპრილი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



ვ. ი. ლენინი. გ. იაშვილის ნახატი.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### მასობრივი ალპინიადა

ყაბარდო-ბალყარეთის 500 ახალგაზრდა მუშამ და სტუდენტმა მოაწყო მასობრივი ახვლა კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ უსახელო „ოთხიათასიანზე". ალპინიადის მონაწილეებმა მწვერვალს გმირი ქალაქის — ლენინგრადის სახელი უწოდეს.

ნალჩიკი.

### ალექსანდრე ნეველის პრიზზე

ნოვგოროდში ტრადიციულ საკავშირო ტურნირში მთავარი პრიზისთვის — ალექსანდრე ნეველის ფაიფურის სტატუისთვის საასპარეზოდ საბჭოთა კავშირის 100-ზე მეტმა მოკრივემ მოიყარა თავი. შეჯიბრება მეხუთედ ტარდებოდა. გაიმარჯვეს ევროპის ჩემპიონმა ვ. ჩერნიშოვმა (ორენბურგი), ი. გერასიმოვმა და ი. ფიოდოროვმა (ორივე — ლენინგრადი), ა. ბუნჩეევმა (იაროსლავლი), გ. რეპინმა (უსტ-კამენოგორსკი), ა. დოკაევმა (ნოვგოროდი), ს. მირონოვმა (პოდოლსკი), ნ. სიდოროვმა და ვ. როსლოვმა (ორივე — ბერეზნიკი), ვ. გორომანსკიმ (ფრუნზე).

ნოვგოროდი.

### ხუთჭიდელთა ახალი ბინა

თანამედროვე ხუთჭიდის ლვოველ ოსტატებს ახალი სასწავლო-საწვრთნელი კომპლექსი გადაეცათ. კომპლექსში შედის ღია საცურაო აუზი (წყალი თბება). პავილიონი ფარიკაობასა და სროლაში savarჯიშოდ. იქვე ახლოს მდებარე პარკში მოეწყო კროსის დისტანცია.

ლვოვი.

საკდესი მოგვითხრობს

## შორეულ გზებზე

კლაიპედა, 19 აპრილი. ავტო-მოტოტურისტთა საკავშირო შეჯიბრება სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „ზა რულიომის" პრიზზე ბოლო ხუთი წლის მანძილზე ეს უკვე მესამედ მოიგეს გემსაშენი ქარხანა „ბალტიის" მუშებმა და ინჟინრებმა.

ამ კოლექტივს ბევრჯერ მოუპოვებია ჯილდოები საინტერესო მარშრუტებით მოწყობილი ლაშქრობებისთვის. ერთხელ, მაგალითად, გემშენებლებმა გაიარეს ლენინური „ისკრის" ლიტვაში ტრანსპორტირების გზები. მერე მოაწყვეს გადარბენა ლეგენდარულ ბრესტის ციხესიმაგრემდე, ხოლო სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით იყვნენ ხუთი მოძმე რესპუბლიკის რევოლუციური და შრომითი დიდების ადგილებში. ზამთარში, 25-გრადუსიან ყინვასა და ქარში, ბალტიის მოტოციკლისტებმა მოაწყვეს ლაშქრობა ყინულზე ლიტვის კლაიპედის წითელდროშოვანი დივიზიის ბრძოლის გზებზე. ამ ღონისძიების სახსოვრად საწარმოს სპორტკლუბში უამრავ სხვა ჯილდოსთან ერთად ინახება საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე საკავშირო ლაშქრობის ცენტრალური შტაბის უფროსის, მარშალ ი. კონევის ხელმოწერილი დიპლომიც.

— ყოველ ჩვენს ღონისძიებას სამი მიზანი აქვს: შემეცნებითი, საagitაციო და სპორტული, — გვითხრა მოტოტურისტთა სექციის თავმჯდომარემ, ინჟინერ-კონსტრუქტორმა ი. ჩერნოუსანმა. — მარშრუტი საკმაოდ რთულია ხოლმე — მეხუთე კატეგორიისა. ნაწრთობი ტურისტები გვყავს. მათ უკვე შემოვლილი აქვთ კარელია, კარპატები...

სადაც უნდა ჩერდებოდნენ გემშენებლები, ყველგან აწყობენ თავიანთი ქარხნისადმი მიძღვნილ მოძრავ გამოფენას. წარმოების მოწინავენი ი. ვაიჩიუსი, ს. მოცკუსი, დ. გელეჟინისი და სხვები საბჭოთა ქვეყნის შორეულ კუთხეებში მცხოვრებთ უამბობენ კლაიპედაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაშლილ გემშენებლობაზე, ლიტვის სავაჭრო და სათევზაო ფლოტზე, ქალაქის სპორტულ ცხოვრებაზე.

ტურიზმის სექციაში ყოველდღიურად ეწერებიან ავტო-მოტოსპორტის მოყვარულები. ახალბედებისთვის დასვენების დღის ლაშქრობები ეწყობა. ახალგაზრდებისთვის მაგალითია ქარხნის ვეტერანი, ლაშქრობათა უცვლელი ხელმძღვანელი ი. ჩერნოუსანი. მის მოტოციკლს 100 ათასი კილომეტრი აქვს გავლილი. სამოცდახუთი წლის კაცმა გმდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი მიიღო და პირველთანრიგოსნის სახელიც მოიპოვა.

ხ. ვაინტრაუბასი.

## ქვირფასი ჯილდო — შრომის შედეგი

თბილისელთათვის გუშინდელი დასვენების დღე უჩვეულო გახლდათ: ყველა ტრანსპორტი — მეტროპოლიტენი, ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი დილიდანვე გადატვირთული იყო: დედაქალაქელები, ისევე როგორც ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, სამსახურისკენ მიიჩქაროდნენ, ერთად იყრიდნენ თავს და დანიშნულ დროს მიეშურებოდნენ შაბათობაზე.

თბილისის ფიზკულტურელებმა ამ საყოველთაო-სახალხო ღონისძიებას სამიოდე კვირით დაასწრეს, როცა რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით კომკავშირულ-ფიზკულტურული შაბათობები სპორტული მოედნების, ნაგებობების მოსაწესრიგებლად, ინვენტარის შესაკეთებლად გამართეს და ბევრი სასარგებლო საქმეც გააკეთეს.

მაგრამ გუშინ სულ სხვა იყო: ლენინური შაბათობის შილმა არც ერთი ფიზკულტურული მუშაკი, არც ერთი სპორტსმენი არ დარჩენილა. ისინი ძალავ ეწვივნენ დედაქალაქის სპორტულ ბაზებს, საქმეს კი რა გამოლევს!

თბილისის ახალ ტრეკზე სამუშაო განსაკუთრებით ბევრია, ამიტომაც საქართველოს სპორტკომიტეტის 68 თანამშრომელმა და ამ კომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს 40 მუშა-მოსამსახურემ სწორედ ამ ობიექტს მიაშურა. მისვლისთანავე საქმე განაწილდა. ქალებმა შედარებით იოლ უბანს — ოთახებსა და ფანჯრებს მიუტიეს, კაცებმა ნიჩბები, წერაქვები, საზიდრები მოიმარჯვეს მშენებლების დატოვებული მიწის გროვისა და ნარჩენებისგან ტრეკის გასასუფთავებლად. სხვებთან ერთად მონდომებით მუშაობდა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. კარგი მაგალითი გადმდებია: ვალში არც სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე, განყოფილებების ხელმძღვანელები შ. აბულეთიანი, ვ. ლომაძე, ვ. ჯაიანი, დ. კაპცოვი, გ. გაჩეჩილაძე, ა. რზანგელსკი, ფ. ნავერიანი, ნ. ახალკაცი, ნ. სომხიშვილი, საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგე გ. მარგიანი, ექიმი ნ. ავალიანი დარჩენილან. ხალისით შრომობდნენ მთავარი მწვრთნელები შ. დარასელია, ა. ბაქრაძე, გ. გოდერძიშვილი, ვ. კუხიანიძე, ვ. გოიაშვილი, სხვა მუშაკები ბ. ხავჩენკო, ი. პირკულოვი, ვ. ასათიანი, მემანქანე ლ. ჩოგოვაძე, ბუღალტერი გ. მეგრელიშვილი, კანცელარიის გამგე ნ. აუხატი, მეკუჭნავე თ. ასეევა და სხვ.

მერე შაბათობის მონაწილეებს ახალი ძალა შეემატათ — ტრეკზე სამუშაოდ მოვიდნენ ბულგარეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდების წევრები, რომლებიც სწორედ ამ ბაზაზე ერთობლივად ვარჯიშობენ: სეზონის დიდი შეჯიბრებებისთვის ემზადებიან.

ტრეკის დირექტორს ვ. ბარკალაიას მოცლა არ ჰქონდა: ამოდენა დამხმარე ძალას განაწილება და ხელშეწყობა უნდოდა. ბოლოს, როგორც იქნა, „წუთშესვენება" ავალებინეთ და პატარა ინტერვიუ ვთხოვეთ.

— ამდენ მუშახელს არ ველოდით. სამუშაო ინვენტარი წინასწარ თითქოს საკმაო რაოდენობით მოვიმარაგეთ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ყველას მაინც არ გასწვდა. ხალხის თაოსნობას მართლა ბევრი შეძლებია. უსაქმოდ არავინ დარჩენილა.

... ტრეკიდან ქალაქის სხვა უბნებს მივაშურეთ. შაბათობაზე ენერგიულად მუშაობდნენ ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, სპორტსკოლების თანამშრომლები, საწარმო-დაწესებულებათა ფიზკულტურელები. ბოლოს ისევ ტრეკზე შევირბინეთ, ბარკალაია კვლავ მოვინახულეთ.

— დღევანდელი დღის კმაყოფილი ვართ. ტრეკის ირგვლივ ტერიტორიაზე, მთავარ მინდორზე დაახლოებით 70 კუბმეტრი მიწის სამუშაო შესრულდა, ბილიკებზე და შენობებშიც ბევრი რამ გაკეთდა. რაც მთავარია, შაბათობის მონაწილენი, როცა თავიანთ ნამოქმედარს გადახედეს, მეტად კმაყოფილი დარჩნენ. ერთ-ერთმა სამართლიანად შენიშნა: ამაზე დიდი ჯილდო ჩვენ არ გვინდაო.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათებზე: შაბათობის ეპიზოდები.

ჭ. ზარგარიანის ფოტოები.





# ტრადიციის გაგრძელება

დღეს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს ქალთა VII საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივანს ა. ჩიკვაიძეს. გთავაზობთ მის ნაამბობს.

— ჩვენში კარგ ტრადიციად იქცა ქალთა საერთაშორისო ტურნირების გამართვა. ეს გასაგებიცაა. ამ ფორუმებმა ხელი შეუწყო საქართველოს მოჭადრაკეებს შემოქმედებითს და სპორტულ წინსვლაში. ნონა გაფრინდაშვილმა აქ შეძენილი გამოცდილებით გაიადვილა ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, ნანა ალექსანდრიამ დიდი სარბიელისკენ გაიკაფა გზა, ალა ჩაიკოვსკაიამ საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიხვეჭა, მანანა ტოგონიძემ, ელისო კაკაბაძემ და ციური კობაიძემ — სპორტის ოსტატისა.

ახლა ჩვენში კვლავ გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები. მათი შემდგომი ზრდის ამოცანა გვიკარნახებს კვლავაც გავაგრძელოთ საერთაშორისო ტურნირების გამართვის ტრადიცია. ბოლოს მსგავსი ტურნირი თბილისსა და გორში ჩატარდა 1970 წელს. იგი რიგით მეექვსე იყო. იმ შეჯიბრებაში რუმინელმა ალექსანდრა ნიკოლაუმ გაიმარჯვა. მანამდე პირველნი იყვნენ: ერთხელ — ლენინგრადელი ლარისა ვოლპერტი, სამჯერ — ნონა გაფრინდაშვილი, ერთხელ — ნანა ალექსანდრია.

და აი, კვირას ახალ ჭადრაკის სასახლეში მეშვიდე ტურნირს გავხსნით. ეს სასახლე ქართველი მოჭადრაკეებისთვის საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის უძვირფასესი საჩუქარია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ნაგებობა არც ერთი ქვეყნის მოჭადრაკეებს არა აქვთ.

ტურნირში შვიდი ქვეყნის 14 მოჭადრაკე ითამაშებს. რა თქმა უნდა, შეჯიბრებას ლამაზს მატებს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის, მსოფლიო პირველობის მომავალი საზონათშორისო ტურნირის მონაწილეების — საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონის ნანა ალექსანდრიას, საბჭოთა კავშირის ამჟამინდელი ჩემპიონის, ლვოველი მარტა შულისა და მოსკოველი ოსტატის ნატაშა კონოპლიოვას თამაში. სტარტზე გამოვლენ ოსტატები იუგოსლავიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, მონღოლეთიდან და ბულგარეთიდან.



ჩვენი რესპუბლიკიდან ითამაშებენ, აგრეთვე, თბილისის ჩემპიონი, ოსტატი ციური კობაიძე, ოსტატობის კანდიდატები, თბილისისა და საქართველოს ქალთა თასების მფლობელი, 12 წლის მაია ჩიბურდანიძე და ქეთევან გაჩეჩილაძე, რომელთაც საერთაშორისო ტურნირში თამაშის უფლება შესარჩევ შეჯიბრებაში მოიპოვეს. თუ კობაიძე უკვე გამოცდილი მებრძოლია, მოჭადრაკე გოგონები გამოჩენილ ჩემპიონებს პირველად გაუწევენ მეტოქეობას. ძალიან გვაინტერესებს მაიას თამაში. ორიოდე დღის წინ მან „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ქალთა პირველობაში წარმატებით საბჭოთა კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება მიიღო. ეს ცოტა როდია. საერთოდ, წლევანდელ ზამთარში, სადაც კი ამ გოგონამ ითამაშა, ყველგან სასიხარულო შედეგს მიაღწია.

გვინდა, რომ ტურნირი კარგად ჩავატაროთ. განზრახული გვაქვს შეჯიბრებას ორი სპეციალური ბიულეტენი მივუძღვნათ, სადაც დაისტამბება საუკეთესო პარტიები, ნარკვევები, სტატიები და სხვ. დაწესდა პრიზებიც: გაზეთ „კომუნისტისა" — საუკეთესო პარტიისთვის, „ზარია ვოსტოკასი" — პირველი ადგილისთვის, „სოფლის ცხოვრებისა" — ლამაზი კომბინაციისთვის, „ვეჩერნი თბილისისა" — ოსტატის ნორმატივის შემსრულებელი მოჭადრაკისთვის, „ახალგაზრდა კომუნისტის" — ახალგაზრდებს შორის საუკეთესო შედეგისთვის, „მოლოდიოჟ გრუზიისა" — პირველ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგის თვის. თბილისის უნივერსიტეტმა ჯილდო დააწესა იმ მოჭადრაკისთვის, რომელიც შავი ფერის ფიგურებით ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს.

ტურნირს პრეს-ცენტრი მოემსახურება. მაყურებლებისთვის მოეწყობა ერთდროული თამაშის სეანსები, საუბრები, შეხვედრები საბჭოთა და უცხოელ მოჭადრაკეებთან.

ტრადიციული ტურნირი ჭეშმარიტ საჭადრაკო ზეიმად გადაიქცევა. ყველა გულშემატკივარს ვიწვევთ შეჯიბრებაზე!

# დინამოელ მოჭადრაკეთა ჩემპიონატები

## თბილისში...

მოჭადრაკე ქალთა დაძაბულმა შეჯიბრებამ ფინიშზე ყველაზე მეტად მოსკოველი ოსტატი ო. იგნატიევა დააზარალა. იგი თითქმის მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერობდა. ხანდაზმულმა მოჭადრაკემ ვერ გაუძლო დაძაბულობას: ბოლო ორ ტურში ჯერ დაუზავდა ს. კალანდარიშვილს (თბილისი), მერე ე. ალიევასთან (ბაქო) დამარცხდა. მას გაუსწრეს ოსტატმა ნ. ტიტორენკომ (მოსკოვი) და „დინამოს" წარმანდელმა ჩემპიონმა ი. ოსტრიმ (კიევი).

გთავაზობთ პირველობის საბოლოო შედეგებს: I. ტიტორენკო, II. ოსტრი — 9-9 ქულა (ადგილები კოეფიციენტთა ცხრილით განაწილდა), III. იგნატიევა — 8,5, IV. მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) — 8, V. ლ. გოლდმანი (ტაშკენტი) — 7, VI. თ. სტეპანოვა (მოსკოვი) — 6,5, VII. კალანდარიშვილი — 5,5, VIII-IX. ალიევა, მ. წერეთელი (თბილისი) — 5-5, X-XI. ი. ვეერე (რიგა), ც. კობაიძე (თბილისი) — 4,5-4,5, XII. მ. ლოლიშვილი (თბილისი) — 3,5, XIII. ხ. კივირიუიტე (ტალინი) — 2.

პირველ ხუთ ადგილზე გასული მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში.

საქართველოს მოჭადრაკეები მიესალმებიან მაია ჩიბურდანიძის ახალ წარმატებას. ალბათ ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა 12 წლის გოგონა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში მიიღებს მონაწილეობას. მაიამ დინამოელთა შეჯიბრებაშიც დიდი სიბეჯითე და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, მაგრამ ტურნირის მეორე ნახევარში მის თამაშს აშკარად აკლდა „დარტყმის სიზუსტე". ქულაც ცოტა მოაგროვა: ბოლო ხუთ შეხვედრაში 2. როგორც ჩანს, გოგონა დაიღალა. ან რა გასაკვირია: ახალი წლიდან იგი ზედიზედ მეექვსე ტურნირში მონაწილეობდა, ხვალიდან კი საერთაშორისო შეჯიბრებაში უნდა ჩაებას. მართებულია თუ არა მოსწავლე გოგონას ასეთი დატვირთვა?

დანარჩენმა თბილისელმა მოჭადრაკეებმა თავი ვერ გამოიჩინეს, თუმცა ყოველი მათგანისგან მეტი იყო მოსალოდნელი.

თ. ნინოშვილი.

## ... და სოხუმში

დინამოელ ვაჟთა პირველობაში მონაწილეობდნენ ოსტატები ი. კოტკოვი, ვ. სუხანოვი (ორივე — მოსკოვი), ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი), ა. ბუსლაევი (თბილისი) და 7 ოსტატობის კანდიდატი. უკონკურსოდ თამაშობდა საერთაშორისო ოსტატი ქალი ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი).

სტარტიდან ჩემპიონის სახელისა და სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალის ერთადერთი საგზურისთვის ბრძოლა კოტკოვს, კუპრეიჩიკს, ბუსლაევსა და სოხუმელ ოსტატობის კანდიდატ ა. ტუზოვსკის შორის გაჩაღდა.

გაიმარჯვა კუპრეიჩიკმა, რომელმაც ფინიშზე ზედიზედ ექვსი პარტია მოიგო. მან 9 ქულა მოაგროვა 11 შეხვედრაში. II-III ადგილები გაიყვეს კოტკოვმა და ტუზოვსკიმ — 8-8 ქულა, IV ადგილზეა ბუსლაევი — 7.

აღსანიშნავია „დინამოს" აფხაზეთის საოლქო საბჭოს მწვრთნელის ტუზოვსკის წარმატება. მან წლეულს „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონის სახელი და საქართველოს თასი მოიხვეჭა.

ახალგაზრდა თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა გ. ზაიჩიკმა უფერულად დაიწყო ტურნირი, მაგრამ შემდგომ მძაფრი ტემპი განავითარა. ფინიშზე მან მოიგო ზედიზედ სამი პარტია, მათ შორის, ოსტატ სუხანოვთან, და 5 ქულით VI ადგილზე გავიდა.

ზატულოვსკაიამ მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა და ბოლოსწინა ადგილი ხვდა.

ზ. ასტახიშვილი.

# თანამემამულეთა ფინალები

„ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, რომ ფრუნზეში თავისუფალი სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა საკავშირო პირად პირველობაში წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თ. ქონიაშვილმა (თბილისი, „სპარტაკი". მწვრთნელი მ. ოსიაშვილი) და ნ. ბუთხუზმა (თბილისი, „შრომითი რეზერვები". მწვრთნელი ნ. გაჩეჩილაძე). ისინი I ადგილებზე გავიდნენ და ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ. ახლა კი უფრო დაწვრილებით გიამბობთ გამარჯვებულებზე და ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებზე, რომლებმაც ასევე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

თ. ქონიაშვილის (65 კგ) წარმატება მართლაც შთამბეჭდავია ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ, მეოთხე წრეში წარუმატებლობის მიუხედავად, მან დამაჯერებლად გადალახა შემდგომი სატურნირო სირთულეები და გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველ ჭაბუკს მტკიცე ნებისყოფა და ბრძოლის უნარი აქვს.

ქონიაშვილმა სტარტიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და გამარჯვების პრეტენდენტთა რიცხვში აღმოჩნდა. პირველ წრეში მან წმინდად დაამარცხა სიმფეროპოლელი ა. ზავარზინი (5,30 წ.), მეორე წრის ბრძოლაც ვადამდე დაამთავრა (5,20 წუთში) ა. პლიევთან (ჩერმენი), შემდეგ აშკარა უპირატესობით (18:0) მოუგო ერევნელ ზ. ტუნიანცს.

სამი წრის შემდეგ ქონიაშვილს საჯარიმო ქულა არ ჰქონდა, მაგრამ მეოთხე წრეში სრულიად მოულოდნელად წაიბორძიკა ცხინვალელ ს. ჯიოევთან შერკინებაში. მეტოქეები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, ამიტომაც ქულის აღება საოცრად გაძნელდა. მსაჯებმა დიდხანს ითათბირეს და ბოლოს ორივე სპორტსმენი პასიურობისთვის მოხსნეს. ახალი წესების შესაბამისად, ქონიაშვილი, როგორც დამარცხებული, „ბ" ჯგუფში გადავიდა და იქიდან შეუდგა გზის გაკაფვას ფინალისკენ. იგი ჩვეული ოსტატობითა და ალმაფრენით იბრძოდა: ფრუნზელი პ. ლაუ წმინდად (4,10 წუთში) დაამარცხა, მახაჩყალელ ე. ნურბოგდანოვს კი ქულებით მოუგო.

ქონიაშვილი ფინალში გავიდა, სადაც მას „ა" ჯგუფში გამარჯვებული სოხუმელი ს. წყაროზია ელოდა. თანამემამულეთა შეხვედრა უაღრესად მძაფრი და შინაარსიანი გამოდგა. ბოლოს მაინც ქონიაშვილის ხერხმა იმძლავრა და წყაროზია 7 წუთსა და 50 წამში დამარცხდა. სოხუმელი ათლეტი II საპრიზო ადგილზე გავიდა, რაც ახალგაზრდა მოჭიდავისთვის უდავოდ დიდი წარმატებაა.

ნ. ბუთხუზსაც (75 კგ) მთავარი ბრძოლა, რომელსაც გამარჯვებული უნდა დაესახელებინა, თანამემამულესთან, თბილისელ გ. შოშიტაშვილთან ჰქონდა. მეტოქეები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ჯერ მეოთხე წრეში (აქ უპირატესობა ბუთხუზის მხარეს იყო), მერე კი ფინალში.

მანამდე ბუთხუზმა დაამარცხა მახაჩყალელი ნ. რამაზანოვი (ქულებით), გროზნოელი მ. ზუბაირაევი (2,35 წ.) და ორჯონიკიძელი გ. ბიგაევი (5,25 წ.). მეოთხე წრეში შოშიტაშვილთან გამარჯვების შემდეგ იგი დაელოდა „ბ" ჯგუფში მოგლენათა განვითარებას, სადაც სხვა დამარცხებულებთან ერთად რევანშისთვის შოშიტაშვილიც იბრძოდა. მან ყველა მეტოქეს აუარა გვერდი და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა, მაგრამ II ადგილზე ზევით მაინც ვერ ავიდა. ბუთხუზმა ამჯერადაც ქულებით გაიმარჯვა.

II საპრიზო ადგილზე გავიდა საგარეჯოელი ტ. გზირიშვილიც. იგი მესამე წრეში დამარცხდა გროზნოელ ა. უციევთან. „ბ" ჯგუფში გზირიშვილმა სამი ბრძოლა მოიგო და ფინალში აქტიუბინსკელ ა. პობირუხინს შეხვდა. ეს იყო ორი თანაბარი ძალის მოჭიდავის ორთაბრძოლა, მაგრამ მსაჯებმა უპირატესობა აქტიუბინსკელ ათლეტს მიანიჭეს.

მაიაკოვსკელი ა. გურგენიძე (70 კგ) მესამე წრეში დამარცხდა ა. მარკოვიჩთან (მინსკი), რომელმაც, შემდგომში ყველა ბრძოლა მოიგო და ოქროს მედლის მფლობელი გახდა, გურგენიძეს კი II-III ადგილებისთვის ბრძოლა გროზნოელ ა. დაუდოვთან ჰქონდა. გურგენიძემ თანაბარ ჭიდილში ერთი შეცდომა დაუშვა და წმინდად დამარცხდა, ამიტომაც მას მხოლოდ III ადგილი ხვდა.

ც. ფცქიალაძე.

# ინვენტარი სჭირდებათ

ჩვენს რაიონში ზამთრის სპარტაკიადები კარგა ხანია ტრადიციად იქცა. წლევანდელი ასპარეზობა იმით განსხვავდებოდა, რომ პროგრამაში მშდ კომპლექსის ნორმატივებიც შევიტანეთ. სარბიელზე საშუალო სკოლების ასამდე მოთხილამურე გამოვიდა.

საერთო გუნდური I ადგილი მესტიის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა დაიკავა. II ადგილზე გავიდნენ მულახის, III კი ლენჯერის საშუალო სკოლების მოთხილამურეები.

ბიჭების პირად პირველობაში გიგანტურ სლალომში ყველა საპრიზო ადგილი მესტიის 1-ლი სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს. ჩემპიონი გახდა თემურ ჯაფარიძე. II ადგილზეა გამარჯვებულის ძმა — თამაზი, III ადგილი კი რევაზ ჯაფარიძეს ხვდა.

სპეციალური სლალომი მოიგო დ. ვეზდენმა (ბეჩო). თემურ ჯაფარიძე ამჯერად II ადგილს დასჯერდა. მესამე პრიზიორია ჯაფარიძის თანასკოლელი ა. ქალდანი.

40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ყველა საპრიზო ადგილი მესტიის მე-2 სკოლის მოსწავლეებმა ფ. გვარლიანმა, მ. ნაკანმა და რ. ჯაჭვლიანმა დაიკავეს.

მორბენალი ვაჟები ერთმანეთს 10 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ. გაიმარჯვა ა. მარგიანმა. შ. გიგანი (ორივე — მულახი) და ბ. ჯაჯვანი (ლენჯერი) მომდევნო ადგილებზე გავიდნენ. მულახელებმა მოიგეს 4×5 კილომეტრზე ესტაფეტაც.

ქალები 3×3 კილომეტრზე ესტაფეტაში ცდიდნენ ძალას. აქაც მულახელებმა აჯობეს ყველას. 5 კილომეტრზე ქალთა შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა ნ. ქოჩქიანი (მულახი). მესტიელი მოსწავლე დ. მჭედლიანი (1-ლი სკოლა) და მულახელი ჟ. ქალდანი II და III ადგილებზე გავიდნენ.

ბევრმა მოსწავლემ შეასრულა სათანრიგო და მშდ კომპლექსის ნორმატივები.

რაიონის ოთხმა საშუალო სკოლამ შეჯიბრებაში მონაწილეობა უინვენტარობის გამო ვერ შეძლო, რაიონის განათლების განყოფილებამ და სკოლების დირექციებმა მეტად უნდა იზრუნონ სპორტული ინვენტარით მოსწავლეთა მომარაგებისთვის.

ნ. გვარლიანი,
მესტიის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — თემურ ჯაფარიძე გიგანტური სლალომის ტრასაზე; მარჯვნივ — 16-18 წლის გოგონები მშდ კომპლექსის სტარტზე.

გ. ჯაფარიძის ფოტოები.







სურათზე: მ. სახვაძე. მ. ზარგარიანის ფოტო.

**თ**ბილისში არის ერთი მშვენიერი პარკი, რომელიც გამორჩეულად უყვართ ჩვენი ქალაქის მოფარიკავეებს. ახოვანი ხეები ზაფხულში საუცხოო ჩრდილს ჰფენენ და ათასობით თბილისელს იზიდავენ. მაშ რატომ ეძახიან ამ პარკს ფარიკაობის სავანეს? იქნებ ყველა მკითხველმა არ იცოდეს, რომ კიროვის პარკში რამდენიმე წელიწადს ბინა ჰქონდათ ქართველ მუშკეტერებს. ფართო, ნათელ დარბაზში დილიდან დაღამებამდე არ წყდებოდა ფოლადის იარაღის წკრიალი. აქ ვარჯიშობდნენ საბჭოთა კავშირში ცნობილი მოფარიკავეები, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები... აქ მოდიოდნენ ისინიც, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამდა ფარიკაობაში.

თითქმის ყოველ საღამოს, თუკი დარბაზში შეიხედავდით, დაინახავდით მაღალ, კაფანდარა, ქერა სპორტსმენს. ერთი შეხედვით იგი მწვრთნელს უფრო ჰგავდა (ამჟამად იგი მწვრთნელიც არის). დინჯი, გამოზომილი მოძრაობა, საოცარი შრომისმოყვარეობა, დიდი სერიოზულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა—აი, რა გამოარჩევდა მას დანარჩენი სპორტსმენებისგან. მორის სახვაძემ სხვებზე უკეთ იცის დროის ფასი, რადგანაც იგი მკაცრად აქვს გამოზომილი. ამ სპორტსმენს, რომელიც სხვა მოფარიკავეებისთვის სამაგალითოდ იყო მიჩნეული, აქვს ერთხელ და სამუდამოდ შედგენილი დღის რეჟიმი. ვერავითარი ძალა, ვერავითარი შეგონება ამ რეჟიმიდან ვერ გადაახვევინებს. სხვანაირად წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ სპორტით ესოდენ დაკავებულ ადამიანს დაემთავრებინა ორი უმაღლესი სასწავლებელი, დამოუკიდებლად დაეუფლებოდა უცხო ენას — გერმანულს, მიეღწია თვალსაჩინო წარმატებისთვის საფარიკაო სარბიელზე.

ხაფარიკაო ბილიკზე მორის სახვაძის გარეგნობამ შეიძლება შეცდომაშიც შეგიყვანოთ. ერთი შეხედვით ფიზიკურად სუსტი სპორტსმენი დაღლილი არავის უნახავს. მისი ყოველი მოძრაობა აწონილ-დაწონილია და მკაცრ გეგმას ემყარება. მორისი მეტოქეს ერთ უმნიშვნელო შეცდომასაც არ აპატიებს. მისი ესპადრონის ძალა სხვადასხვა დროს ბისა, იგი მაინც შეჰყავთ ნაკრებ გუნდში), ანდა უარი უნდა ეთქვა ტოკიოში გამგზავრებაზე. ყველაფერი გადაწყვიტა ერთადერთმა, საბედისწერო ჩხვლეტამ. დაძაბულ დუელში გაიმარჯვა მელნიკოვმა და ნაკრებში სახვაძის ადგილიც მან დაიკავა.

რომელ სპორტსმენს არ გაუტყდებოდა გული ასეთი მარცხის შემდეგ? ამის მაგალითი რამდენიც გნებავთ იმდენია. მაგრამ სახვაძე სულ სხვა ყაიდის მოფარიკავეა. ჩვენ, მისი თანა-

# ჯენტლმენი სპორტულ სარბიელზეც

ნარკვევი

თავიანთ თავზე გამოსცადეს მსოფლიოს უძლიერესმა მოფარიკავეებმა — პოლონელებმა პავლოვსკიმ, ოხირამ, პიანტკოვსკიმ, უნგრელებმა კოვაჩმა, მესენამ, პეჟამ, საბჭოთა სპორტსმენებმა რილსკიმ, რაკიტამ, მავლიხანოვმა, ქიტნიმ, ასათიანმა, ვინოკუროვმა... არ ყოფილა შემთხვევა, სახვაძეს მონაწილეობა მიეღოს შეჯიბრებაში და იქ თავისი სიტყვა არ ეთქვას. მას ხშირად მოუგია, ხშირადაც დამარცხებულა, მაგრამ მუდამ რჩებოდა ანგარიშგასაწევ მებრძოლად.

როცა კაცი თითქმის ოცი წლის მანძილზე ემსახურება სპორტის საყვარელ სახეობას, გამარჯვებებთან ერთად ზოგჯერ დასანან მარცხსაც იწვნევს ხოლმე. სახვაძემ ასეთი მარცხი იწვნია ტოკიოს ოლიმპიადის წინ გამართულ საკავშირო ჩემპიონატში. ამ დროს ყველა სპორტსმენი განსაკუთრებით მონდომებულია. აბა, ვის არ უნდა მონაწილეობა თანამედროვეობის უდიდეს ასპარეზობაში?! თითქოს აღარაფერი უკლდა მიზნის მიღწევას, სულ ერთი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონობამდე, მაგრამ ეს დაბრკოლება მორისმა 1964 წელს ვერ გადალახა.

მე მახსოვს იმ ჩემპიონატის ბრძოლები, მახსოვს, რა საუცხოოდ იყო მომზადებული მორისი, მაგრამ, ეტყობა, სპორტში შენს მხარეზე ბედიც უნდა იყოს. სხვანაირად ძნელად ასახსნელია, როგორ დათმო ბოლო შეხვედრა მორისმა იმ მეტოქესთან, რომელიც ჩემპიონატში ყველაზე ძლიერი როდი იყო. სახვაძემ მოუგო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს იაკობ რილსკის, საერთაშორისო ტურნირების კავალერს უმარ მავლიხანოვს, სსრ კავშირის ჩემპიონს მარკ რაკიტას, ნუგზარ ასათიანს და სხვებს. ოქროს მედალი უკვე ასე ახლოს იყო და უცებ — წაგება ბორის მელნიკოვთან. ამ თანავარსკვლავედში მელნიკოვი შედარებით სუსტი იყო. ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ესპადრონისტთა ნაკრებ გუნდში მოხვდნენ ის სპორტსმენები, რომლებსაც მორისმა ბოლო ჩემპიონატში დამაჯერებლად მოუგო. რა მოხდა? შეცდომა ხომ არ მოუვიდათ ნაკრები გუნდის მწვრთნელებს? არა. ფარიკაობა სპორტის თავისებური სახეობაა. აქ მხედველობაში ღებულობენ არა ერთი რომელიმე პირველობის შედეგს, არამედ მთელი სეზონის მაჩვენებლებს. სამწუხაროდ, 1964 წლის ბევრ ტურნირში მორისმა ავადმყოფობის გამო გამოსვლა ვერ შეძლო, მისი ძირითადი კონკურენტები აგროვებდნენ ნაკრებში მოხვედრისთვის საჭირო ქულებს, ის კი იძულებული იყო მთელი იმედები ბოლო ჩემპიონატზე დაემყარებინა. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი: მორისი ან ჩემპიონი უნდა გამხდარიყო (მხოლოდ ჩემპიონისთვის არსებობს გამონაკლისი, როცა, მიუხედავად წინათ ნაჩვენები შედეგი-გუნდელები, მინსკის ჩემპიონატის შემდეგ უფრო აღელვებული ვიყავით, ვიდრე მორისი.

მორისის შესრულებით ფარიკაობა თავისებური მეცნიერებაა, სადაც ყველაფერი კანონზომიერებას ემორჩილება. მას საუცხოოდ ჰყავს შესწავლილი ყველა ძირითადი მეტოქე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათზე კარგად იცის მათივე ძლიერი და სუსტი მხარეები. აი, რატომ ეძახდნენ მორისს ჩვენი მწვრთნელების პირველ თანაშემწეს ეს ლიტონი სიტყვები როდია. რამდენჯერ მოუცია პირადად ჩემთვის რჩევა-დარიგება საპასუხისმგებლო ბრძოლის წინ და დაუფასებელი სამსახური გაუწევია ამით.

გასაოცარი იყო სახვაძის ხიმშვიდე და ჯენტლმენობა საფარიკაო ბილიკზე ერთი სიამოვნება გახლდათ მასთან ბრძოლა: არასდროს გიმუხთლებდა, ბოროტად არ გამოიყენებდა მეტოქის უნებურ შეცდომას. იგი მოწინააღმდეგის კეთილისმსურველად და ამხანაგად რჩებოდა სპორტულ სარბიელზეც. მსაჯები ხომ პირდაპირ აღმერთებდნენ მორისს. სამწუხაროდ, ზედმეტად ემოციური მოფარიკავეების ერთი ნაწილი ხშირად ედავება მსაჯებს, წამდაუწუმ მართავს მათთან სიტყვიერ დუელს, ჭირვეულობს, რითაც ჩრდილს აყენებს შეჯიბრების როგორც სპორტულ, ისე ეთიკურ მხარეს. ვერ დაასახელებთ ვერც ერთ მსაჯს, რომელსაც ოდნავი პრეტენზია მაინც ჰქონდეს მორისის მიმართ. სახვაძე ოც წელიწადს რაინდულად, პატიოსნად, კეთილშობილურად ასრულებს მუშკეტერთა კოდექსის ყველა პუნქტს. ამ თვისებებმა მას დამსახურებული ავტორიტეტი მოუხვეჭა ფარიკაობის სამყაროში.

იქნებ იფიქროთ, რომ მეტისმეტმა ჯენტლმენობამ მორისის სპორტულ შედეგებზე ოდნავ მაინც იმოქმედა. სრულიადაც არა. გადახედეთ მის ოცწლიან სპორტულ კარიერას და იქ შეხვდებით საუკეთესო მაჩვენებლებს, რომლებიც ნებისმიერი მოფარიკავის ბიოგრაფიას დაამშვენებდა. აქ ნახავთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ხამ ოქროს მედალს, ქვეყნის თასს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს, საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებულ უამრავ პრიზს. რაც შეეხება რესპუბლიკურ შეჯიბრებებს, აქ მორისს მხოლოდ მისი თანატოლი — მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მუშკეტერი ნუგზარ ასათიანი თუ გაუტოლდება.

მართლაც საოცარია ქერათმიანი ქართველი ესპადრონისტის სპორტული გზა. როცა ფარიკაობის ისტორია დაიწერება, მემატიანე მას ასათიანთან, კოსტავასთან, ოსიპოვთან და სხვებთან ერთად ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ადგილს მიუჩენს.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

# 9 პრიზიორი

ტამბოვში ჩატარდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა სამბისტთა პირადი პირველობა, რომელშიც 120-ზე მეტმა ათლეტმა იასპარეზა. შეჯიბრება მიზნად ისახავდა ცენტრალური საბჭოს ნაკრების დაკომპლექტებას.

თავი გამოიჩინეს საქართველოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც 9 საპრიზო ადგილი მოიპოვეს. „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ტ. ცინცაძე (70 კგ), დ. ხაბულიანი (75 კგ), ზ. წენგუაშვილი (80 კგ) და ნ. ელიბაშვილი (86 კგ). II ადგილებზე გავიდნენ თ. ქეიძე (58 კგ), ზ. შაველიაშვილი (100 კგ), III — გ. დელიბაშვილი (75 კგ), დ. ოქრუაშვილი (93 კგ) და ვ. შუბითიძე (მძიმე).

თ. არაბული,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

# შვიდი ჩემპიონი ერთი გუნდიდან

იუნიორ სამბისტთა საქალაქო პირველობაში მონაწილეობა მიიღო „შრომითი რეზერვების", „განთიადის", „დინამოსა" და „სპარტაკის" 50-მდე მოჭიდავემ.

თავი გამოიჩინეს „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებმა (მწვრთნელი დ. ჩაჩანიძე): მათ შვიდ წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს. ჩემპიონები გახდნენ: ქ. ბაბუნაძე, ი. ყურმაევი, ს. ბერიძე, ნ. ობლიძე, ვ. ელბაქიძე, ზ. შუკოვანი, რ. ბუცხრიკიძე (ყველა — „შრომითი რეზერვები"), ა. გონჩაროვი („დინამო"), მ. ჩაჩანიძე („სპარტაკი").

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.)

რუსთავი.



მოზარდთა რესპუბლიკური ტურნირი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გან. განყ. | 8 | 7 | 1 | 0 | 27—2 | 15 |
| „ტორპედო" | 9 | 7 | 1 | 1 | 22—4 | 15 |
| „დინამო" (ბათ.) | 9 | 6 | 3 | 0 | 17—4 | 15 |
| ახალგ. საფ. სკოლა (თბილისი) | 9 | 6 | 2 | 1 | 21—4 | 14 |
| „დინამო" (თბ.) | 8 | 5 | 2 | 1 | 12—4 | 12 |
| „განთიადი" | 8 | 5 | 1 | 2 | 12—9 | 11 |
| „ავაზა" | 9 | 3 | 3 | 3 | 15—9 | 9 |
| „დილა" | 9 | 3 | 3 | 3 | 9—12 | 9 |
| „კოლხეთი" | 9 | 3 | 2 | 4 | 13—9 | 8 |
| „გურია" | 9 | 3 | 1 | 5 | 9—7 | 7 |
| ახალგ. საფ. სკოლა (თელავი) | 9 | 3 | 1 | 5 | 9—30 | 7 |
| „დინამო" (სოხ.) | 8 | 2 | 2 | 4 | 6—11 | 6 |
| „სპორტინტერნ." | 9 | 3 | 0 | 6 | 8—17 | 6 |
| „მერცხალი" | 9 | 1 | 4 | 4 | 5—18 | 6 |
| მწვრთ. სკოლა | 9 | 1 | 3 | 5 | 5—13 | 5 |
| ახალგ. საფ. სკოლა (გაგრა) | 9 | 0 | 5 | 4 | 4—15 | 5 |
| „მეტალურგი" | 9 | 0 | 4 | 5 | 5—20 | 4 |
| „ლოკომოტივი" | 7 | 0 | 2 | 5 | 1—12 | 2 |



ჩვენმა მეკარემ ბურთი გაუშვა.

სურათი გადაღებულია ჩელიაბინსკში „ტყავის ბურთის" პრიზზე საკავშირო შეჯიბრების დროს.

# საიდან წარმოსდგა სახელი იალღუჯა?

**ი**ალღუჯის მთის ფერდობები საქართველოში თითქმის ყველაზე მოსახერხებელია მოტოკროსში, სპორტის ამ მეტად საინტერესო სახეობაში შეჯიბრებების ჩასატარებლად და სავარჯიშოდ. ამიტომაც იქ ხშირად იმართება საკავშირო თუ რესპუბლიკური ჩემპიონატები.

არა მარტო სპორტის მოყვარულთათვის, არამედ მკითხველი საზოგადოებისთვისაც საინტერესოა, რატომ ეწოდა ამ მთას და რას ნიშნავს ეს თითქოს უცნაური სახელი იალღუჯა?

ვახუშტი ბაგრატიონი წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" წერს: „მტკვრის კიდეზედ არს ქალა ყურყუთა, და აწ სოღანლუღი წოდვილი. ამ ქალიდან იალღუჯამდე და კუმისის ტბამდე და მტკვრამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული სარვანისა... ეგრეთვე იალღუჯის მთასა შინაცა მიწისაგან ხდიან გვარჯილასა" (გვ. 48).

მაშასადამე, ვახუშტი ბაგრატიონი არ იძლევა სახელწოდება იალღუჯის განმარტებას და მხოლოდ მთის გეოგრაფიული მინიშნებით კმაყოფილდება. სამაგიეროდ, ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების ახსნაში დიდი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი გვეხმარება. იგი წერს: „იალღოჯი — ფიცარი პირ-მრუდი". შემდეგ საბა უფრო ფართო განმარტებას გვთავაზობს: „აფრაკი — ფიცარი პირ-მრუდი-იალღოჯი. აფრაკი არს რა ფიცარი გამრუდდეს, იალღოჯი".

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენმა წინაპრებმა იალღუჯის მთას ეს სახელი იმიტომ უწოდეს, რომ იგი მართლაც პირმრუდია და დამრეცი. ეს სახელი ასევე შემორჩა საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიასა და ისტორიას.

ვ. სიდამონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა მოხდა ლენინგრადში?

**სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი წრის I ტურში თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის უხეირო გამოსვლამ ჩვენი გაზეთის ბევრი მკითხველის გაოცება გამოიწვია. რედაქციამ მიიღო წყალბურთის გულშემატკივართა წერილები, სადაც ისინი გვთხოვენ ავუხსნათ ჩვენი წყალბურთელების წარუმატებლობის მიზეზები. „ლელოს“ კორესპონდენტმა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს წყალბურთში ნ. მუსასტიკოვს სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.**

● **რით იყო გამოწვეული თბილისის „დინამოს“ ესოდენ უიღბლო გამოსვლა ლენინგრადში?**

— იმის თქმა არ შეიძლება, რომ ჩვენი წყალბურთელები ცუდად მოემზადნენ წლევანდელი ჩემპიონატისთვის. თბილისში ჩატარებული საწვრთნელი მუშაობის შემდეგ გუნდმა ორი მატჩი გამართა მოსკოვში და ორივე მოიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია შეხვედრა საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან — 4:3.

ლენინგრადში თბილისის „დინამო“ საბრძოლველად იყო განწყობილი. პირველივე მატჩში ლვოველ თანაკლუბელებთან ჩვენი გუნდი დაწინაურდა — 2:0. თბილისელთა მორიგი შეტევისას ისელიძეს უხეშად ეთამაშნენ მეტოქე გუნდის მცველები. თბილისელთა ერთ-ერთი საუკეთესო წყალბურთელი სერიოზულად დაშავდა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. იგი არც დანარჩენ მატჩებში გამოსულა. ამან საგრძნობლად შეასუსტა ჩვენი გუნდის ბრძოლისუნარიანობა. ვერც ლენინგრადელი მსაჯი ტიხონოვი იდგა თავის სიმაღლეზე. მან რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, რასაკვირველია, ლვოველთა სასარგებლოდ, რაც საბედისწერო გამოდგა თბილისის „დინამოსთვის“. მატჩი წავაგეთ — 4:5. მართალია, ამ შეხვედრის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ ტიხონოვს აუკრძალა არბიტრობა, მაგრამ ამან ჩვენს საქმეს ვერ უშველა.

კიეველებთან თამაშში თბილისის „დინამო“ წინ იყო მატჩის ბოლო წუთებამდე, მაგრამ ვერ შეძლო ამ უპირატესობის შენარჩუნება. ასევე მოხდა მოსკოველ მეზღვაურებთან და ლენინგრადის „ბალტიკასთან“ შეხვედრებში. მოსკოველ მეზღვაურებთან თამაშის დამთავრებას სულ რაღაც წამები აკლდა, როცა შიდლოვსკიმ ანგარიში გაქვითა.

● **კმაყოფილი ხართ თუ არა სხვა არბიტრების მსაჯობით?**

— წყალბურთში არბიტრობა ძალიან ძნელი საქმეა. შეიძლება მსაჯის ერთმა საბედისწერო შეცდომამ წყალში ჩაგიყაროს მთელი თამაშის მანძილზე გაწეული შრომა.

## „ლელო“ ინტერვიუ

მოვიყვან ორ ფაქტს: თბილისის „დინამომ“ მორიგი შეტევა განახორციელა ლვოველ თანაკლუბელთა კართან. ერთ მომენტში ლვოველთა მცველმა ორი ხელით გზა გადაუღობა მისი გუნდის კარში მიმავალ ბურთს. ამ შემთხვევაში მსაჯი ნიშნავს ოთხმეტრიან საჯარიმოს, მაგრამ ახლა ასე არ მოხდა. ჩვენ მივმართეთ ლენინგრადის ტურის მთავარ მსაჯს ლებედევს, მაგრამ მან განაცხადა, მატჩის მსაჯის ფუნქციებში არ ვერევიო. კიეველებთან შეხვედრაში, როცა ანგარიში იყო 1:1, ჩვენებმა ზუსტად ტყორცნეს მეტოქის კარში, მსაჯმა, მოსკოველმა რამაჯანმა ცენტრისკენ ანიშნა, მაგრამ აქ საქმეში ჩაერია მთავარი მსაჯი ლებედევი და მისი კატეგორიული მოთხოვნით ბურთი არ ჩათვალეს. უპრეცედენტო ამბავია!

● **რა პერსპექტივა აქვს ჩვენს გუნდს მეორე ტურში?**

— მოსკოველ მეზღვაურებთან მატჩმა დაგვანახვა, რომ თბილისის „დინამოს“ შეუძლია ძლიერ მეტოქეებთან თანაბარი თამაში. იმედი გვაქვს, რომ ვოლგოგრადის ტურში ჩვენი გუნდი გაცილებით ძლიერად გამოვა. ისელიძე კვლავ ჩადგება მწყობრში და მოსალოდნელია ლენინგრადში დაკარგული პოზიციები ვოლგოგრადში დავიბრუნოთ.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ბრაზილიელთა ტურნე ასეთია

ბრაზილიის ნაკრები 2 ივნისიდან 4 ივლისამდე დიდ ტურნეს გამართავს აფრიკასა და ევროპაში. სულ გათვალისწინებულია 9 მატჩი: 2 ივნისს — მაროკოელებთან, 5 ივნისს — ტუნისელებთან, 9 ივნისს — იტალიელებთან, 11 ივნისს — ავსტრიელებთან, 16 ივნისს — გფრ-ის ნაკრებთან, 20 ივნისს — სსრ კავშირის ნაკრებთან, 25 ივნისს — შვედებთან, 30 ივნისს — შოტლანდიელებთან, 4 ივლისს — ირლანდიელებთან.

მწვრთნელმა ზაგალომ ჯერ კიდევ იანვარში შეარჩია ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ ტურნეში მიიღებენ მონაწილეობას.

● ●

### 24 აპრილს შულცის ბენეფისია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა კავშირი, ნაკრები და „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ 24 აპრილს საზეიმო გაცილებას უწყობენ ნაკრების ვეტერანს, ცნობილ ცენტრალურ მცველს ვ. შულცს, რომელიც კარგა ხნის მანძილზე ნაკრების დაცვის ბურჯი იყო.

ამ მატჩში, რომელიც ჰამბურგში გაიმართება, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ შეხვდება გამოჩენილ ევროპელ ვარსკვლავთაგან შემდგარ გუნდს. შულცს უკანასკნელად მოუხდება ეუსებიოსთან ბრძოლა.



# რამსეი უწინ და ახლა

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სერ ალფ რამსეი საყოველთაოდაა ცნობილი. ბოლო წლებში მან სახელი გაითქვა, როგორც მწვრთნელმა, მაგრამ თავის დროზე არანაკლებ ძლიერი ფეხბურთელი იყო.

რამსეი დაიბადა 1920 წელს. სერიოზული თამაში „საუთჰემპტონში“ დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“, სადაც მარჯვენა მცველად თამაშობდა. 1948-დან 1953 წლამდე ინგლისის ნაკრებში შედიოდა, სადაც 32 მატჩი ჩაატარა და მისი კაპიტანიც იყო. მონაწილეობა მიიღო 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. 1955 წლიდან 1962 წლამდე წვრთნიდა „იფსვიჩ თაუნს“, სადაც ფანტასტიკურ შედეგებს მიაღწია: სამ წელიწადში (1960-1962) კლუბი III ლიგიდან პირველში გადაიყვანა და გადასვლისთანავე ინგლისის ჩემპიონის წოდება მოაპოვებინა.

1963 წლიდან რამსეი წვრთნის ინგლისის ნაკრებს, რომელიც მისი ხელმძღვანელობით 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამ წარმატებისთვის მას სერის წოდება ებოძა.

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ რამსეი-ფეხბურთელს. სურათი 1953 წელსაა გადაღებული, როცა ინგლისის ნაკრები შოტლანდიის გუნდს ეთამაშებოდა. მარცხნივ — შოტლანდიელი ლაური რეილი.

ქვედა სურათზე კი აღბეჭდილია რამსეი-მწვრთნელი. ფოტო ვარშავის სტადიონზეა გადაღებული.

„მორნინგ სტარისა“ (ლონდონი) და ე. ვარმინსკის („სპორტოვეცი“, ვარშავა) ფოტოები.

### პეტროსიანი და შტეინი...

◆ ლას-პალმასი, 21 აპრილი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ბოლო ტურის წინ გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა დიდოსტატები ტ. პეტროსიანი და ლ. შტეინი. ისინი 52-ე სვლაზე დაუზავდნენ ერთმანეთს, პეტროსიანმა კი კიდევ აიღო ნახევარი ქულა ვ. ჰუგთან (შვეიცარია) შეხვედრაში. ახლა ლიდერებს 9-9 ქულა აქვთ. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან უ. ანდერსონი (შვეცია), ზ. რიბლი (უნგრეთი) და ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია). ბოლო ტურში პეტროსიანი თეთრებით ეთამაშება ლ. კავალეკს (აშშ), შტეინი კი შავებით — ქ. დარგას (გფრ).

### მორელონი ისევ „ჩემპიონთა ჩემპიონია“

◆ ლონდონი, 21 აპრილი. „ჰერნ ჰილის“ ტრეკზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ფრანგმა ველოსიპედისტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა სპრინტში დანიელ მორელონმა ამ სახეობაში „ჩემპიონთა ჩემპიონის“ წოდება მოიხვეჭა. ფინალში მან რინუს ლანგკრუისს (ჰოლანდია) და იურგენ გეშკეს (გდრ) აჯობა. ბოლო 200 მეტრზე მორელონის დროა 12,2 წამი. ნახევარფინალში მან ასევე ოლიმპიურ ჩემპიონს, ნილს ფრედბორგს (დანია) სძლია. მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ჯონ ნიკოლსონი (ავსტრალია) ბრძოლას პირველივე ეტაპზე გამოეთიშა. მორელონის წარმატება ამ შეჯიბრებებში მისი მონაწილეობის რვაწლიან პრაქტიკაში მეხუთე გამარჯვებაა.

# მორიგი ტირაჟი

ლენინგრადი, 20 აპრილი. დღეს აქ შედგა „სპორტლოტოს“ მე-11 ტირაჟი, რომელშიც მომგებიანი აღმოჩნდა შემდეგი ნომრები და სპორტის სახეობები: 1 (ავიასპორტი), 15 (წყალბურთი), 25 (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა), 26 (მოტობურთი), 34 (ხელბურთი), 43 (ფარიკაობა).

ვაერში მტვრის ბუღი აიჭრა. ბორბლების ხმაურში და მათრახის ტკაცუნში კამეჩები ისარივით მიჭრიან ფინიშისკენ. სპორტის ეს უჩვეულო სახეობა განსაკუთრებით პოპულარულია ინდოელ გლეხებში. სხვათა შორის, რბოლის მონაწილეებს დიდი ვაჟკაცობა მოეთხოვებათ: ეტლების სიჩქარე ხანდახან საათში 70 კილომეტრს აღწევს.



ფოტო ჟურნალ „უიკენდიდან“ (ინგლისი).

რედაქტორი მ. ჯაკაბაძე.

## თბილისის სპორტული

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 22 აპრილი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია). დასაწყისი 17 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)—„კოლხეთი“ (ხობი). 17 ს. მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე). 12 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „ავაზა“ (თბილისი). 14 ს. „ისნის“ სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). 14 ს. „განთიადი“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი). 16 ს.



24 აპრილს

საქართველოს ალპინისტთა კლუბში ჩატარდება ლექცია თემაზე: „კავკასიონის ბუნებრივი პირობები“.

ლექციას წაიკითხავს გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. მარუაშვილი.

დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 08879